THE ISSUE OF CICERO'S INVOLVEMENT IN CAESAR'S ASSASSINATION
კეისრის მკვლელობაში ციცერონის მონაწილეობის საკითხი

KAKHABER SURGULADZE
Doctor of History, Professor
of Batumi Shota Rustaveli State University
N35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
ORCID:0000-0002-6008-8396
kakhaber.surguladze@bsu.edu.ge
+995 599 30 91 91

Abstract. The assassination of Gaius Julius Caesar has been examined by numerous scholars in their scholarly works. They discussed it when narrating the lives of the dictator and his contemporaries, as well as when depicting the historical landscape of the end of Republican Rome. While the events before and after the assassination are well-documented, not all researchers mentioned Cicero's role in the conspiracy. The notion of Cicero as the «leader of the conspiracy» gained popularity in literature (W. Lacey…). The intrigue in this matter was introduced by the orator himself when he publicized Antonius's accusation against him, claiming that Brutus had shown him a bloodied dagger and exclaimed «Cicero».

Caesar and Cicero were prominent figures of the «last generation» of Republican Rome. Their relationship fluctuated according to circumstances, marked by periods of compromise and confrontation. During the civil war, both Caesar and his opponent Pompey attached great importance to Cicero's position. Caesar attempted to win him over, but Cicero ultimately allied himself with Pompey. Toward the war's end, he reconciled with Caesar, but disillusioned by the state of affairs in the country, he abandoned political activity and devoted himself to writing philosophical treatises. Morally dejected, he was compelled to flatter the victor, for which the defeated condemned him. Consequently, the conspirators excluded him from their circle. Most conspirators were «old Pompeians» who remembered his defection during the civil war. They failed to grasp the underlying meaning of the orator's flattery toward Caesar and thus distrusted him.

In Roman elite circles, Cicero was regarded as such an influential figure that any participation in a «leadership role» would certainly have been documented in ancient sources or in the orator's epistles. The conspiracy was led by Brutus, although Cassius played a leading role in it. Regarding Antonius's accusation that Cicero incited the conspirators, we can observe that Antonius, as a contender for the dictator's legacy, harbored both ancestral and personal enmity toward the orator. Through this accusation, Antonius sought to destroy the orator as a political opponent. Cicero explicitly responded to the accusation in his «Philippics»: «Had I been among them, I would have eliminated not just one king in the state, but royal power altogether». As for his prior knowledge of the impending assassination, this fundamentally changed nothing. Based on his principle of «concord among classes», the act of assassination did not fit into Cicero's credo, which is why the orator distanced himself from the events and did not appear at the Senate meeting.

Key words: Caesar; Cicero; Brutus; Ancient Rome; Assassination in the Senate.

კახაბერ სურგულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35
ORCID:0000-0002-6008-8396
kakhaber.surguladze@bsu.edu.ge
+995 599 30 91 91

აბსტრაქტი. გაიუს იულიუს კეისრის მკვლელობის აღწერას არაერთი მეცნიერი შეეხო. მასზე საუბრობდნენ დიქტატორის და თანადროული პერსონაჟების ცხოვრებაზე თხრობისას. ასევე რესპუბლიკური რომის დასასრულის ისტორიის სურათის გადმოცემისას. აღწერილია მკვლელობის წინარე და მომდევნო პერიოდის მოვლენები, მაგრამ ყველა მკვლევარი ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით არ ახსენებდა შეთქმულებაში ციცერონის როლს. თითქოს აქ საკამათო არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ლიტერატურაში (ვ. ლეისი...) პოპულარული გახდა ციცერონის, როგორც „შეთქმულების ხელმძღვანელის“ როლის იდეა. საკითხში ინტრიგა თავის დროზე შემოიტანა თვით ორატორმა, როდესაც გააჟღერა მისდამი ანტონიუსის ბრალდება, თითქოს ბრუტუსმა მას უჩვენა გასისხლიანებული ხანჯალი და წამოიძახა „ციცერონ“.

კეისარი და ციცერონი რესპუბლიკური რომის „უკანასკნელი თაობის“ მსხვილი წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის ურთიერთობები იცვლებოდა სიტუაციურად. იყო დათმობა–დაპირისპირების მომენტები. სამოქალაქო ომის დროს დაპირისპირებული კეისარი და პომპეუსი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ციცერონის პოზიციას. მაშინ კეისარი შეეცადა მის გადაბირებას, მაგრამ ციცერონი მაინც პომპეუსს შეუერთდა. ომის მიწურულს იგი კიდეც შეურიგდა კეისარს, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, მან გული აიცრუა ყველაფერზე, მიატოვა პოლიტიკური საქმიანობა და ჩაება ფილოსოფიური ტრაქტატების წერაში. მორალურად დათრგუნულს უკვე უწევდა გამარჯვებულის მაამებლობა, რის გამოც დამარცხებულები მას აძაგებდნენ. ამის გამო შეთქმულებმა თავიანთ წრეში იგი არ მიიღეს. შეთქმულთა უმეტესობა „ძველი პომპეუსელი“ იყო, მათ ახსოვდათ სამოქალაქო ომში მისი განდგომა. შეთქმულბმა ალღო ვერ აუღეს ორატორის მხრიდან კეისრის მაამებლობის შინაარს, ამიტომაც მას არ ენდობოდნენ.

რომაულ ელიტაში ციცერონი იმდენად წონად ფიგურად მიიჩნეობა, რომ „ხელმძღვანელის რანგში“ მისი მონაწილეობის ფაქტი აუცილებლად დაფიქსირდებოდა ანტიკურ წყაროებში ანდა ორატორის ეპისტოლეებში. შეთქმულების ხელმძღვანელი იყო ბრუტუსი, თუმცა შეთქმულებაში წამყვანი როლი კასიუსს ეკუთვნოდა. რაც შეეხება ანტონიუსის ბრალდებას ციცერონის მხრიდან შეთქმულთა წაქეზების თაობაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი პრეტენდენტი იყო დიქტატორის მემკვიდრეობაზე, რომელსაც ორატორის მიმართ საგვარეულო და პირადი წყება ჰქონდა. ბრალდებით ანტონიუსი შეეცადა ორატორის, როგორც პოლიტიკური ოპონენტის განადგურებას. ბრალდებას „ფილიპიკაში“ ციცერონმა გარკვევით გასცა პასუხი: „მე, რომ ვყოფილიყავი მათ შორის, სახელმწიფოში მოვსპობდი არა ერთ მეფეს, არამედ საერთოდ სამეფო ძალაუფლებას“. რაც შეეხება მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ მის ინფორმირებულობას, ეს უკვე არსებითად არაფერს ცვლიდა. „ფენათა თანხმობის“ იდეიდან გამომდინარე მკვლელობის აქტი არ ჯდებოდა ციცერონის კრედოში, ამიტომაც ორატორი განერიდა მოვლენებს და არ გამოცხადდა სენატის სხდომაზე.

საკვანძო სიტყვები: კეისარი; ციცერონი; ბრუტუსი; ანტიკური რომი; მკვლელობა სენატში.

შესავალი

ძვ.წ. 44 წლის 15 მარტს რომში შეთქმულებმა მოკლეს გაიუს იულიუს კეისარი (ძვ.წ. 100-44). ანტიკურ წყაროებში (პლუტარქე, სვეტონიუსი…) მგრძნობიარედ არის აღწერილი მკვლელობის მომენტი. 60–მდე სენატორმა, გაიუს კასიუსის (ძვ.წ. 86–42) და მარკუს ბრუტუსის (ძვ.წ. 85–42) ხელმძღვანელობით, სენატის შენობაში განახორციელეს მკვლელობის აქტი (პლუტ., კეისარი, 66; Suet., Jul., 80–82). მკვლელებს აშკარად ემჩნეოდათ, რომ რეალურად გააზრებული არ ჰქონდათ თავიანთი ტერორისტული აქტის შედეგები. ისინი იდილიურად უყურებდნენ სამყაროს. მათი ჩანაფიქრით, დიქტატორის სიკვდილი, ქვეყანაში აღადგენდა ტრადიციულ რესპუბლიკურ წყობას (Billows, 2009: 252; Утченко, 1976: 332). მკვლელებს ეგონათ, რომ ხალხი მათ ყველაფერს შეუნდობდა. თუმცა მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა.

მეთოდები

ნაშრომი დაიწერა ანტიკური წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების შეჯერების საფუძველზე. კეისრის მკვლელობის ამსახველი ანტიკური წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა დამუშავდა საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებული კლასიკური სპეციალური-სამეცნიერო მეთოდებით: დედუქციის მეთოდით მოხდა ზოგადიდან კონკრეტულამდე ახალი ცოდნის მიღება. ისტორიულ-სისტემური მეთოდით კეისრის მკვლელობის აქტი თავისი სახეებით განვიხილეთ მთლიანობაში. რეტროსპექტული მეთოდით შევძელით გვიანდელი წყაროებით ძვ.წ. 44 წლის 15 მარტის და მომდევნო დღეების სურათის რეკონსტრუქცია. კონტენტ-ანალიზის მეთოდით დავაფიქსირებთ სხვადასხვა ტიპის წყაროებში ციცერონის როლის გამოვლენის სიხშირე. რეკონსტრუქციის მეთოდით შევძელით ძვ.წ. 44 წლის 15 მარტის სურათის აღდგენა, საისტორიო პერსონაჟების ფსიქოლოგიის შესწავლა და ეპოქის სულისკვეთების დაზუსტება–გადმოცემა.

დიალექტიკურ ერთიანობაში კომპლექსურად და სისტემურად გამოყენებული მეთოდებით მოხდა დროსა და სივრცეში საისტორიო პროცესების და მოქმედი პერსონების საქმიანობის განხილვა.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველია ისტორიზმის და ობიექტურობის პრინციპი. მეთოდების და მეთოდოლოგიის კომბინაციამ საშუალება მოგვცა რეალურად წარმოვაჩინოთ კეისრის მკვლელობის სურათი და განვსაზღვროთ მასში მონაწილე პერსონების, მათ შორის ციცერონის როლი.

დისკუსია

56 წლის ასაკში დაიღუპა კეისარი. 23 ჭრილობისაგან განგმირული ეგდო იგი სენატში პომპეუსის ქანდაკების კვარცხლბეკთან (Утченко, 1976: 332), თითქოს ძველი მეტოქეც სიმბოლურად „ესწრებოდა თავისი მტრის დასჯას“ (პლუტ., კეისარი, 66). სენატორები, რომლებიც შეთქმულებაში არ მონაწილეობდნენ, ამ საშინელების დანახვაზე თავზარი დაეცათ, პანიკაში ჩავარდნენ, გარეთ გაცვივდნენ და განგაში ატეხეს (პლუტ., კეისარი, 67; Suet., Jul., 83).

ასეთი ბატალიების ფონზე, ცხადია, საინტერესოა, სად იყო მარკუს ციცერონი (ძვ.წ. 106-43). კეისრის მკვლელებს შორის პლუტარქე ციცერონს არ ასახელებს. ისტორიკოსის პასუხი ცალსახაა: „შეთქმულები ვერ დაედნენ მის მხდალ ხასიათს და თან მხედველობაში მიიღეს მისი ასაკი; ასეთ ასაკში კი უმეტეს ვაჟკაცებსაც ეკარგებათ მხნეობა“ (პლუტ., ციცერონი, 42). რაც შეეხება ორატორის როლი შეთქმულთა გარემოცვაში, ესეც წყაროებით ნათელი არ არის. საკითხში ინტრიგა შემოიტანა თვით ორატორმა, როდესაც გააჟღერა მისდამი ანტონიუსის (ძვ.წ. 83-30) ბრალდება, თითქოს ბრუტუსმა მასთან მიირბინა, უჩვენა გასისხლიანებული ხანჯალი და წამოიძახა „ციცერონ“ (Cic., Phil., II, XII, 30).

ჰქონდა კი ციცერონს შეთქმულებაში მონაწილეობის საბაბი? კეისარი და ციცერონი რესპუბლიკური რომის „უკანასკნელი თაობის“ მსხვილი წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის ურთიერთობები არ იყო იდილიური. ის იცვლებოდა სიტუაციურად ციცერონის იდეალების და ფილოსოფიური ნააზრევიდან გამომდინარე. იყო დათმობა–დაპირისპირების მომენტები. ძვ.წ. 60–50–იან წლებში ციცერონი პომპეუსელი გახლდათ. ძვ.წ. 55 წელს ორატორმა პომპეუსს ურჩია არ მიეცა თანხმობა კეისრისთვის გალიაში პროკონსულობის ვადის გაგრძელებაზე, ანდა ძვ.წ. 52 წელს მისთვის დაუსწრებლად საკონსულო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება (Cic., Phil., II, X, 24). პომპეუსმა არ გაითვალისწინა ორატორის რჩევები. ციცერონი ძალა მის სიტყვებში იყო (Макарова, 2012: 41). ამიტომაც პოლიტიკური ჯგუფები ცდილობდნენ მის მიმხრობას. მაგ., ძვ.წ. 49–45 წლების სამოქალაქო ომის დროს, დაპირისპირებული კეისარი და პომპეუსი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ციცერონის პოზიციას. კეისარი შეეცადა ორატორის გადაბირებას, წერილები გაუგზავნა (Cic., Att., VIII, 3, 11), ძვ.წ. 49 წლის გაზაფხულზე კიდეც ესტუმრა, მაგრამ მისი გარემოცვის შიშის გამო (Cic., Att., IX, 18, 2), ციცერონმა გადაწყვიტა, მაინც პომპეუსს შეერთებოდა. ორატორს კეისარ–პომპეუსის ტანდემი არ მოსწონდა, მაგრამ უკანასკნელი ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდა. მოგვიანებით იგი იტყვის, რომ: „არასოდეს მსურდა მისი (ე.ი. კეისრის) გამარჯვების მონაწილე ვყოფილიყავი, მაგრამ მსურდა მისი (ე.ი. პომპეუსის) უბედურების გაზიარება“ (Cic., Att., IX, 12, 4).

ფარსალოსის ბრძოლაში პომპეუსის მარცხის შემდეგ ციცერონმა კავშირი გაწყვიტა პომპეუსელებთან, რომლებმაც იგი ღალატში დაადანაშაულეს. ორატორი ბრუნდიზიუმში დაელოდა კეისარს, სადაც მათი შეხვედრა შერიგებით დასრულდა. პლუტარქე წერს, რომ „ამიერიდან კეისარი ეპყრობოდა ციცერონს ურყევი პატივისცემით და კეთილგანწყობით“ (პლუტ., ციცერონი, 39), მაგრამ ურთიერთობა მოჩვენებითი იყო. მოგვიანებით ციცერონი გაიხსენებს კეისრის სიტყვებს: „შემეპაროს თუ არა ეჭვი იმაში, რომ მე ღრმად ვძულვარ, როცა ზის მარკუს ციცერონი და არ შეუძლია ჩემთან თავისუფლად დალაპარაკება? მაგრამ თუ არის მოსაუბრე ადამიანი, ეს ის არის. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ მას ღრმად ვძულვარ“ (Cic., Att., XIV, 1. 1). ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, კეისარმა ციცერონის სასარგებლოდ ვეტერანებისთვის ნადელების გამოყოფის სიიდან ამოიღო ლაციუმში მდებარე მისი ნაკვეთი (Cic., Fam., IX, 17, 2).

ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, ციცერონმა გული აიცრუა პოლიტიკური საქმიანობაზე და ჩაება ფილოსოფიური ტრაქტატების წერაში. მორალურად დათრგუნულმა დაიწყო გამარჯვებულის მაამებლობა, რის გამოც დამარცხებულები აძაგებდნენ. პლუტარქე გვიდასტურებს, რომ ქალაქ გარეთ განმარტოებული ციცერონი რომში ჩადიოდა მხოლოდ კეისართან მისასალმებლად (პლუტ., ციცერონი, 40). ძვ.წ. 46 წელს, დიდი ძალისხმევით, ორატორმა შესძლო კეისრის წინაშე დევნილი პომპეუსელების რეაბილიტაცია. იგი ჰპირდებოდა კეისარს: „როგორც კი გაიფიქრებ, რომ რაიმეს უნდა უფრთხოდე, მზად ვარ შენი მცველი და მფარველი ვიყო და დაგიცვა მკერდით და სხეულით“ (Cic., Pro Marc., II, 5). ანდა: „შენს დამსახურებაზე თქმულება არასდროს არ შეწყდება“ (Cic., Pro Marc., III, 9). ციცერონს იმედი ჰქონდა, რომ კეისარი აღადგენდა მართვის ტრადიციულ სისტემას (Billows, 2009: 239), ე.ი. იგი იქნებოდა რესპუბლიკური რომის ბელადი, იგივე Princeps civitatis, რომლის იდეალური სახე მან დახატა ტრაქტატში „სახელმწიფოს შესახებ“ (სურგულაძე, 2009: 351). იგი ეუბნებოდა კეისარს: „მხოლოდ შენ გიწევს აღადგინო ყველაფერი ის, რაც ომით დაზიანდა“ (Cic., Pro Marc., VIII, 23). ფაქტია, კეისრისადმი ციცერონისეული განწყობა გულუბრყვილობის გამოხატვა იყო, რადგან ორატორმა ვერ აღიქვა, რომ კეისარი ყოველთვის მოქმედებდა მომენტის სულისკვეთების შესაბამისად (სურგულაძე, 2009: 351).

ძვ.წ. 45 წლიდან კეისრის ლტოლვამ ერთმმართველობისკენ ციცერონს მისდამი განწყობა შეუცვალა. ახლა ორატორი დაუახლოვდა ბრუტუსს, რომელსაც მსგავსი

ილუზიები ჰქონდა. ამის მიუხედავად, შეთქმულებმა თავიანთ წრეში ციცერონი არ მიიღეს. მათ ალღო ვერ აუღეს დიქტატურის პერიოდში ორატორის მხრიდან გაწეული კეისრის მაამებლობის შინაარს, ამიტომაც ისინი არ ენდობოდნენ. ორატორის „გამოღვიძება“ იწყება კეისრის მკვლელობის შემდეგ, როდესაც ნათლად გამოიკვეთა სენატური ოპოზიციის უპერსპექტივობა და ანტონიუსის სახით ტირანიის სიცოცხლისუნარიანობა.

ციცერონის ეპისტოლე პირველი თანადროული წყაროა, რომელშიც ევფემიზმის ფორმით არის ნახსენები კეისრის მკვლელობა (Косиченко, 2018: 378). ძვ.წ. 44 წლის 17 მარტის წერილის ავტორი ორატორთან შეშფოთებას გამოთქვამდა „მისი და მეგობრების ბედის“ შესახებ (Cic., Fam., XI, 1, 1). მაშადასამე, „მკვლელობაზე“ მეტად უმთავრესი იყო მკვლელობის ჩამდენის – ბრუტუსის და კასიუსი სიცოცხლის გადარჩენა (Косиченко, 2018: 378). ორატორი არც მომდევნო პერიოდის ეპისტოლეებში აფიქსირებს მკვლელობაში მის მონაწილეობას. უფრო მეტიც, მკვლელობის ფაქტზე იგი უკვე მესამე პირში საუბრობს. მაგ., მეგობრისადმი წერილში იგი წერდა: „გვამშვიდებს მარტის იდები. რაც შეეხება ჩვენს გმირებს, რაც საკუთარი ძალებით შეეძლოთ მათ დიდებულად გააკეთეს (Cic., Att., XIV, 4, 2).

გვიანდელი თაობის ისტორიკოსებთან (პლუტარქე...) შეიქმნა მკვლელობის შესახებ ისტორიული ნარატივები. ისინი მოვლენის მონაწილეებთან არ იყვნენ პირადი ურთიერთობით დაკავშირებული და ამიტომაც ფაქტს რეტროსპექტულად და ობიექტურად აფასებდნენ. თუმცა ეს მათ მაინც ზღუდავდათ, რადგან ეყრდნობოდნენ ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს, რომლებსაც ამატებდნენ თავიანთი ჰიპოთეზებით. პლუტარქესთან კეისრის მკვლელობის სცენას „რომანი–ტრილერის“ სახე აქვს. ისტორიკოსი აქცენტირებს მკვლელობის წინარე მოვლენებზე საუბარს (წინასწარმეტყველება, ნიშნები...), რაც მას სჭირდებოდა დაძაბულობის და მისტიკური ატმოსფეროს შექმნისთვის (Косиченко, 2018: 381–382). მკვლელობაში ციცერონის მონაწილეობა პლუტარქესთან არ ჩანს. სვეტონიუსის ნაშრომში კეისრის მკვლელობის სცენას სათანადო ყურადღება არ ეთმობა. საქმე იმაშია, რომ სვეტონიუსს არ ესმოდა ისტორიის გაგება (Гаспаров, 1991: 341). ისტორიკოსისთვის მთავარი იყო არა მკვლელების და მკვლელობის სურათის დეტალიზაცია, არამედ კეისრის მხრიდან „შეგნებული სიკვდილის სურვილის“ (Suet., Jul., 86) გაცხადება (Косиченко, 2018: 283). საკითხისადმი ასეთი მიდგომამ გამორიცხა მკვლელობის აქტის დეტალიზება.

კეისრის მკვლელობის ფაქტის აღწერას არაერთი მეცნიერი შეეხო. მასზე საუბრობდნენ დიქტატორის (ალექსიშვილი, 1961; სანიკიძე, 1989; Утченко, 1976: 319-348; Parenti, 2003: 167-186; Billows, 2009: 236-258; Wiseman, 2016: 93-106...), ანდა თანადროული პერსონაჟების ცხოვრების (წერეთელი, 1959; Утченко, 1972: 301-352...) თხრობისას. ასევე რესპუბლიკური რომის დასასრულის ისტორიის სურათის გადმოცემისას (წერეთელი, 1961: 263-269...). აღწერილია მკვლელობის წინარე და მომდევნო პერიოდის სურათი, მაგრამ ყველა მკვლევარი, ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით, არ ახსენებდა შეთქმულებაში ციცერონის როლს. თითქოს აქ საკამათო აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ლიტერატურაში (Lacey, 1978; Мусский, 2000: 92...) პოპულარული გახდა ციცერონის, როგორც „შეთქმულების ხელმძღვანელის“ როლის საკითხი. მაგ., ვ. ლეისი წერდა, რომ „თუმცა შეთქმულები მის სახელს არასდროს ახსენებდნენ, თავად ციცერონი კი ყოველთვის უარყოფდა მკვლელობასთან რაიმე კავშირს“ (Lacey, 1978: 141-142). ჩვენი აზრით, ცდებიან ის ისტორიკოსები, რომლებიც ციცერონს შეთქმულების „ხელმძღვანელად“, ანდა „იდეურ ორგანიზატორად“ თვლიან. მით უფრო, რომ პლუტარქე ამას ცალსახად გამორიცხავდა. საქმე იმაშია, რომ ციცერონი იმდენად წონადი ფიგურა გახლდათ და მისი მონაწილეობა ორგანიზატორის რანგში რეზონანსულ მკვლელობაში, აუცილებლად დაფიქსირდებოდა ანტიკურ წყაროებში ანდა დიქტატორის შემდგომი პერიოდის ორატორის ეპისტოლეებში. საქმე იმაშია, რომ კეისარიანელებთან ბრძოლაში ამ ფაქტის გაჟღერება ორატორისთვის

მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ ციცერონი მასზე ყურადღებას არ ამახვილებდა. მოგვიანებით, ანტონიუსმა, მას ბრალად კი წაუყენა შეთქმულების წაქეზება (Cic., Phil., II, XI, 25), მაგრამ „ფილიპიკაში“ ციცერონმა გარკვევით გასცა პასუხი: „მე, რომ ვყოფილიყავი მათ შორის, სახელმწიფოში მოვსპობდი არა ერთ მეფეს, არამედ საერთოდ სამეფო ძალაუფლებას“ (Cic., Phil., II, XIV, 34). ვფიქრობთ, რომ ორატორის ეს სიტყვები ნათლად მიანიშნებს, რომ ციცერონი არ იყო შეთქმულების ორგანიზატორი და შესაბამისად არც მათ რიგებს შორის. უფრო მეტიც, მკვლელობის დღეს იგი არ იმყოფებოდა სენატში (სურგულაძე, 2009: 374).

შეთქმულთა შორის ციცერონის სიმპათიები ბრუტუსისადმი იყო. ორატორი კარგად იცნობდა მის სიმამრ – კატონ უმცროსს (ძვ.წ. 95–46). ამის გარდა, ბრუტუსების საგვარეულო ლეგენდა – გვარის მონაწილეობა უკანასკნელი მეფის დამხობაში, მათ რესპუბლიკის დამცველის თიკუნი მიაკუთვნა (Wiseman, 2016: 102). ციცერონს ნაშრომი ჰქონდა - „ბრუტუსი“, სანაცვლოდ, უკანასკნელმა ორატორს თავისი „ისტორიოგრაფიული ჩანაწერები“ მიუძღვნა (Lacey, 1978: 117). მათი ურთიერთობა საერთო მეგობარის დახმარებით ძვ.წ. 54 წლიდან დაიწყო. ორატორი ბრუტუსზე იმთავითვე სიმპატიით განიმსჭვალა: „ახალგაზრდებს შორის ის უკვე პირველია და იმედია მალე პირველი იქნება სახელმწიფოში“ (Cic., fam., III, 11). კეისრის მკვლელობის შემდეგ, კაპიტოლიუმში წარმოთქმული სიტყვა ბრუტუსმა მოგვიანებით ციცერონს გაუგზავნა გადასამუშავებლად (Cic., Att., XVI, 1a, 2). მის შესახებ ორატორი შემდგომში იტყვის: მე ყოველთვის მიყვარდა ბრუტუსი მისი განსაკუთრებული გონების, სასიამოვნო მანერების და წესიერების გამო (Cic., Fam., IX, 14, 5). სიმპათიების მიუხედავად, ლეისი შენიშნავდა, რომ მათი ურთიერთობა მეგობრობაში მაინც არ გადაზრდილა (Lacey, 1978: 117).

საერთოდ, ციცერონი მარტის იდეებს კმაყოფილებით შეხვდა და მასზე იგი დიდ იმედებს ამყარებდა. კეისარი მის გონებაში უკვე ტირანი გახდა (Cic., Att., XIV, 9, 2). ორატორის ჩანაფიქრით, ტირანის სიკვდილი ააღორძინებდა რესპუბლიკას (Res publica libera) და შესაბამისად ციცერონის ხელმძღვანელ როლს სახელმწიფოში, მაგრამ მას იმედები გაუცრუვდა. მკვლელებს, ანუ როგორც თავად ეძახდნენ „რესპუბლიკელებს“, არც ჰქონდათ სამოქმედო პროგრამა და რომის მოსახლეობის მხარდაჭერაც. მათი მისამართით ციცერონი იტყვის: „თავიანთი ქცევით ისინი ყოველთვის დიდებით იქნებიან შემოსილი, ხოლო შეგნებაში ბედნიერები“ (Cic., Att., XIV, 12, 2). მართალია, გარკვეული ხნით თითქოს დამყარდა წონასწორობა „კეისარიანელებსა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის, მაგრამ პირველებმა მაინც შეძლეს უპირატესობის მოპოვება.

იულიუს კეისრის მკვლელობამ რომის პოლიტიკური სამყარო არეულობაში მოიყვანა (Richardson, 2012: 10). ციცერონისთვის მიუღებელი დარჩა ქვეყანაში შექმნილი ვითარება, ამიტომაც ძვ.წ. 44 წლის აპრილის დამდეგს მან რომის დატოვა და ქალაქგარეთ რეზიდენციაში განმარტოვება გადაწყვიტა, რადგან „უფრთხოდა გამარჯვებულებს“ (Cic., Att., XIV, 6, 2). შიში არ იყო უსაფუძვლო. მისივე სიტყვით, „ტირანია კი დაეცა, მაგრამ ტირანია ცოცხლობს“ (Ibid., 9, 2), რომ კეისრის ყველა გეგმას დღეს „უფრო მეტი ძალა აქვს ვიდრე მის სიცოცხლეში“ (Ibid., 10, 1). არ გავხდით რა მონებად მის სიცოცხლეში – წერდა ორატორი, „ჩვენ ახლა ვხდებით მონები მისი უბის წიგნაკისა“ (Ibid., 14, 2). მეგობრისადმი მიწერილ სხვა ბარათში ციცერონი აღნიშნავდა: „ვშიშობ, რომ მარტის იდეებმა ჩვენ არაფერი მოგვცა, გარდა შურისძიების სიხარულისა... შესანიშნავი საქმეა, მაგრამ დაუმთავრებელი“ (Ibid., 12, 1). მოგვიანებით, ირატორი იგივე ადრესატს ეტყვის: „მარტის იდეებით დამშვიდება სისულელეა. ჩვენ გამოვავლინეთ მამაცობა, გონიერება... ხე მოჭრილია, მაგრამ ამოძირკვული არაა. შენ ხედავ რა ამონაყარი აქვს მას“ (Cic., Att., XIV, 4, 2).

უნდა ითქვას, რომ კეისრის მკვლელობამ ხალხი დაზაფრა. მეორე დღესვე ქალაქი დატოვეს სტუმრებმაც, მათ შორის იყო კლეოპატრაც (Cic., Att., XIV, 8, 1). შეწყდა ფინანსური

ოპერაციები და დაიკეტა სავაჭროები. ბრუტუსმა და სხვა შეთქმულებმა სცადეს ფორუმზე შეკრებილებისათვის განემარტათ მომხდარი ფაქტი, მაგრამ უშედეგოდ. ის კი არა, კეისრის გვამის კრემაციისას, ხალხის ნაწილი მკვლელების სახლების გადასაბუგად გაეშურა, სხვები კი ქალაქის ყველა კუნჭულში დაეძებდნენ მათ. საბოლოოდ, შეთქმულები რომიდან გადაიხვეწნენ. ფიქრობდნენ, რომ დროის მსვლელობა მრისხანებას გაანელებდა, მაგრამ ამაოდ. კეისრის სული თითქოს „მკვლელობის შურისმგებლად გადაიქცა და იგი ყველგან დევნიდა მათ... ასევე იმ პირებსაც, რომლებმაც რაიმე სახით მონაწილეობა მიიღეს შეთქმულთა საქმეში“ (სურგულაძე, 2009: 376).

იმ დღეებში კეისრისადმი ხალხის სიყვარულის გამოვლინებამ სოციალური შეფერილობა მიიღო, რაც გამოიხატა მევახშეებისა და მდიდარი სახლთმფლობელების წინააღმდეგ მოქმედებებში. ციცერონი ახსენებს ვინმე ბელიენუსს, რომლის სახლი იმ დღეებში რომში დაწვეს (Cic., Phil., II, XXXVI, 91). უკანასკნელს კავშირი ჰქონდა ვაჭრებთან (Цветаева, 1947: 227). ნიშანდობლივია, რომ „ფილიპიკაში“ ციცერონი უკიჟინებდა ანტონიუსს, რომ შენ „უსარგებლო ადამიანებს“, ე.ი. მონებს, მაშინ აქეზებდი ჩვენს სახლებზეო (Cic., Phil., II, XXXVI, 91).

17 მარტს, იუპიტერის ტაძარში, სენატის პირველსავე სხდომაზე კი გაირკვა, რომ რომის მოსახლეობის სხვადასხვა ფენა მხარს უჭერდა ცენტრალიზაციისა და ხელისუფლების განმტკიცების კეისრისეულ პროგრამას, რის განსახიერებას ისინი მონარქიის შექმნაში ხედავდნენ. რომის რესპუბლიკამ, სუსტი სახელმწიფოებრივი აპარატით, სენატის არისტოკრატიის ბატონობით, უუფლებო ჩაგრული პროვინციებით, ბევრის აზრით მოჭამა თავისი დრო და საჭიროებდა სხვა წყობით შეცვლას (სურგულაძე, 2009: 378).

კეისრის სიკვდილმა გამოიწვია პოლიტიკურ ძალთა პოლარიზება. რომის საზოგადოება დაიყო ტრადიციული რესპუბლიკისა და კეისრის პროგრამის მომხრეებად. რესპუბლიკურ ფრთას განასახიერებდნენ ბრუტუსი, კასიუსი და ა.შ., ხოლო კეისარიანელებისას ანტონიუსი (ძვ.წ. 83–30), ლეპიდუსი (ძვ.წ. 90–13) და ოქტავიანე (ძვ.წ. 63–ახ.წ. 14). მათ ეხმარებოდა: პატრონის ხელში აღზევებული სენატორები, მოსყიდული პლებსი, რომის მოქალაქეობას მიიღებული იტალიკები და პროვინციალები. დაბოლოს, მათი დასაყრდენი იყო არმია (100 ათასზე მეტი ჯარისკაცი), რომელმაც კეისრისაგან მიიღო მიწები. იმ რთულ და წინააღმდეგობრივ ვითარებაში, რაც დიქტატორის სიკვდილის შემდეგ რომში შეიქმნა, სწორედ ვეტერანები ასრულებდნენ ძირითად როლს სისტემის დაცვის საქმეში (Billows, 2009: 252). ისინი ითხოვდნენ შეთქმულთა ანგარიშსწორებას. მათი დაწოლით კეისარიანელებმა დროებით შეწყვიტეს ურთიერთდაპირისპირება. არსებითად არმია გამოვიდა მთავარსარდლების დაქვემდებარებიდან და თავის ნებას კარნახობდა - სენატს, სახალხო კრებას და პროვინციებს (სურგულაძე, 2009: 379).

კეისრის მკვლელობა მოულოდნელი დარჩა ანტონიუსისა და ლეპიდუსისათვის. პირველი იყო თანაკონსული, მეორე კი კავალერიის უფროსი. ტრაგედიის შემდეგ ორივე მიიმალა. ანტონიუსი ამისათვის მონის ტანსაცმელში გამოეწყო. საერთოდ, ანტონიუსი სიცოცხლეს ბრუტუსს უნდა უმადლოდეს (Plut., Brut., XVIII). მაშინ იყო, რომ „მეოცნებე ფილოსოფოსმა“, ბრუტუსმა, დაუშვებლად მიიჩნია ბრალდების გარეშე მისი დასჯა (Борухович, 1983: 125). ანტონიუსი მხოლოდ 17 მარტს გამოჩნდა, როდესაც დარწმუნდა, რომ შეთქმულთაგან არავინ ერჩოდა.

ძვ.წ. 44 წლის 17 მარტს გაიმართა სენატის სხდომა. მას დაესწრო თითქმის ყველა სენატორი. იქ იყო კეისრის მომხრეები, ანტონიუსის მხარდამჭერები, დიქტატორის მკვლელები და გაურკვეველი მრწამსის მქონენი. სხდომაზე მკვლელობის ორგანიზატორები შეეცადნენ კეისრის ტირანად გამოცხადებას და ამით თავიანთი ნამოქმედარის გამართლებას. ანტონიუსს, რომელიც კონსული იყო და მაშასადამე იურიდიულად ქვეყნის პირველი პირი, სენატორებს შესთავაზა „დაევიწყებინათ წარსული“, რადგან კეისრის ტირანად აღიარება მთელი მისი კანონმდებლობის და ორგანიზაციული

გადაწყვეტილებების უარყოფა იქნებოდა (Машкин, 1949: 124). ანალოგიური აზრი უფრო გაბედულად განავითარა ციცერონმა. მან პირდაპირ განუცხადა სენატორებს: „მე გთავაზობთ შევინარჩუნოთ კეისრის გადაწყვეტილებები იმიტომ კი არა, რომ ვიწონებ მათ... არამედ იმიტომ, რომ ყველაზე მაღლა ვაყენებ მშვიდობას“ (Cic., Phil., I, VII, 16).

ციცერონის სიტყვები დამსწრეთათვის მოულოდნელი დარჩა, მაგრამ ნათელი იყო, რომ ორატორი ანგარიშს უწევდა რეალობას. მისი აზრით, კეისრის ღონისძიებების უარყოფა გამოიწვევდა იმათ ამხედრებასაც ვისაც დიქტატორისაგან მიღებული ჰქონდათ თანამდებობები, ჯილდოები, წყალობები და მიწები. ამიტომაც, ციცერონის აზრით, „საყოველთაო თანხმობისათვის უნდა შევინარჩუნოთ არა მარტო კეისრის დროს მიღებული კანონები, არამედ ისინიც, რომლებსაც გვთავაზობენ მისი სიკვდილის შემდეგაც“ (Cic., Phil., I, IX, 23). ხანგრძლივი კამათის შემდეგ სენატმა მიიღო ციცერონის კომპრომისული წინადადება და კეისრის ყველა დადგენილება ძალაში დატოვა. მკვლელები იურიდიულად აღიარეს დამნაშავედ, მაგრამ მათ მაშინვე გამოუცხადეს ამინისტია (ალექსიშვილი, 1961:218). ეს იმას ნიშნავდა, რომ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთში მორიგდნენ. ცხადია, მორიგება დროებითი იყო. მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილი ციცერონი იტყვის: „მე ჩავდე მშვიდობის საფუძველიო“ (Cic., Phil., I, I, 1).

დასკვნა

დასასრულ ვიტყვით, რომ ისტორიკოსები ცდებიან, როდესაც ციცერონს კეისრის წინააღმდეგ შეთქმულების „ხელმძღვანელად“ ანდა „იდეურ ორგანიზატორად“ მიიჩნევენ. ციცერონი იმდენად წონადი ფიგურა იყო, რომ ეს ფაქტი აუცილებლად დაფიქსირდებოდა ანტიკურ წყაროებში ანდა ორატორის ეპისტოლეებში. შეთქმულების ხელმძღვანელი იყო ბრუტუსი, თუმცა შეთქმულებაში წამყვანი როლი კასიუსს ეკუთვნოდა. რაც შეეხება ანტონიუსის განაცხადს ციცერონის მხრიდან შეთქმულთა წაქეზების თაობაზე (Cic., Phil., II, XI, 25), შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი კეისრის მეორე დის – იულიას შვილი იყო და შესაბამისად პრეტენდენტი დიქტატორის მემკვიდრეობაზე, რომელსაც ორატორის მიმართ საგვარეულო წყენა ჰქონდა. ძვ.წ. 47 წელს ანტონიუსი დაქორწინდა ციცერონის მოსისხლე მტრის კატილინას ნაცოლარზე – ფულვიაზე და ამიერიდან ორატორისადმი მისი სიძულვილი უფრო გამძაფრდა. ბრალდებით ანტონიუსი შეეცადა ორატორის, როგორც პოლიტიკური ოპონენტის განადგურებას. ციცერონისთვის ანტონიუსი მორალურად გახრწნილი პიროვნება იყო (Cic., Phil., II, XVIII, 44), რომელსაც „ფილიპიკაში“ მან გარკვევით უპასუხა: „მე, რომ ვყოფილიყავი მათ შორის (ე.ი. შეთქმულებში - კ.ს.), სახელმწიფოში მოვსპობდი არა ერთ მეფეს, არამედ საერთოდ სამეფო ძალაუფლებას“ (Cic., Phil., II, XIV, 34). ეს სიტყვები მიანიშნებს, რომ ციცერონი არ იყო შეთქმულების ორგანიზატორი ანდა მონაწილე. რაც შეეხება მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ მის ინფორმირებულობას, ეს უკვე არსებითს არაფერს ცვლიდა. „ფენათა თანხმობის“ იდეიდან გამომდინარე, იმ მომენტისთვის, მკვლელობის აქტი არ ჯდებოდა ციცერონის კრედოში, ამიტომაც ორატორი განერიდა მოვლენებს და არ გამოცხადდა სენატის სხდომაზე.

კეისრის მკვლელობის შემდეგ, ძვ.წ. 44-43 წლებში, ანტიკურ რომში განვითარებული მოვლენებიდან ყველაზე დრამატული დარჩა ციცერონსა და ანტონიუს შორის დაპირისპირება, რომელმაც ქვეყანაში განსაზღვრა ოქტავიანეს (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14) მმართველობის დამყარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალექსიშვილი, მ. (1961). *გაიუს იულიუს ცეზარი.* თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

პლუტარქე. (1975). *კეისარი, გვ. 470-540. რჩეული ბიოგრაფიები,* ტ. I, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭ. საქართველო“.

პლუტარქე. (1975). *ციცერონი, გვ. 583-634. რჩეული ბიოგრაფიები,* ტ. I, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭ. საქართველო“.

სანიკიძე, ლ. (1989). *კეისარიადა.* თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

სურგულაძე, კ. (2009). *ციცერონი და რომი.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

წერეთელი, ალ. (1961). *ძველი რომი. ნაწ. II.* თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

წერეთელი, ალ. (1959). *მარკუს ტულიუს ციცერონი.* თბილისი: გამომცემლობა „თსუ“.

Белкин, М. (2002). Цицерон и Марк Антоний: Истоки конфликта. «*Мнемон», под ред. Э. Флорова:* Изд-во «Санкт-Петербургский гос. университет». с. 133-162.

Борухович, В. (1983). После мартовских ид 44 г. до н. э. *Античный мир и археология. Вып. 5:* Изд-во «Саратовский гос. университет». с. 123-154.

Гаспаров, М. (1991). Светоний и его книга, с. 341-361. *Гай Светоний Транквилл. Жизнь двенадцати цезарей.* Москва: Изд-во «Наука».

Косиченко, Е. (2018). Событийность как категория культурного текста (на примере события «Убийство Цезаря»). с. 374-385. *Вестник МГЛУ. Гуманитарные науки. Вып. 9 (801).* Москва: «ФГБОУ ВО МГЛУ».

Макарова, А. (2012). Цицерон как герой в социальной памяти. с. 38-68. *Кризисы переломных эпох в исторической памяти. Под ред. Л. П. Репиной.* Москва: Изд-во «ИВИ РАН».

Машкин, Н. (1949). *Принципат Августа.* Москва-Ленинград: Изд-во «Академии Наук СССР».

Мусский, И. (2000). *100 Великих диктаторов.* Москва: Изд-во «Вече».

Сервье, Ж. (1998). *Жёны двенадцати Цезарей.* Москва: Изд-во «Крон-Пресс».

Утченко, С. (1972). *Цицерон и его время.* Москва: Изд-во «Мысль».

Утченко, С. (1976). *Юлий Цезарь.* Москва: Изд-во «Мысль».

Цветаева, Т. (1947). Народные волнения в Риме после убийства Юлия Цезаря. *ВДИ. №1. с. 226-233.* Москва–Ленинград: Изд-во «Академии Наук СССР».

Billows, R. (2009). *Julius Caesar: The Colossus of Rome (Roman Imperial Biographies).* London-New York: Publisher «Routledge».

Cicero. (1967). *Letters to Atticus.* Ed by D.R. Shackleton Bailey, v. 6 (44 b.c.): Publisher «Cambridge univ. Press».

Cicero. (2015). *Pro Marcello. p. 422–453.* The Loeb Classical Library 252. Publisher: Harvard University Press, Cambridge, MA.

Cicero. (1997). *In M. Antonius oratio philippica secunda*. s. 32-94. Staatsreden, Dritte teil, Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Berlin: Verlag «Akademie».

Lacey, W. (1978). *Cicero and of the Roman Republic*. London: Published by Hodder and Stoughton.

Parenti, M. (2003). *The Assassination of Julius Caesar*. New York-London: «The New Press».

Suetonius. (1997). *Lives of the Caesars. v. 1.* Cambridge: Publisher «Harvard University Press».

Plutarch. (1918). *Brutus. Plutarch's Lives. v. VI*. Edit. B. Perrin, Cambridge, MA: London: Publisher W. Heinemann; Harvard University Press, Cambridge, Massachusetts.

Richardson, J. (2012). *Augustan Rome 44 BC to AD 14 (The Restoration of the Republic and the Establishment of the Empire):* Published «Edinburgh University Press».

Wiseman, T. (2016). *Julius Caesar.* Stroud: Publisher «The History Press».

REFERENCES

Aleksishvili, M. (1961). Gaius Iulius Cezari *[Gaius Iulius Cezar].* Tbilisi: Publishing House «Nakaduli».

Plutarqe. (1975). Keisari. *gv. 470-540. Rdsheuli biografiebi, t. 1. [Caesar. Selected Biographies, Vol. I].* ZvelberZnulidan targmna, shesavali tserili da ganmartebebi daurto A. Urushadzem

[Translated from the original Greek, with an introduction and appendices by A. Urushadze]. Tbilisi: Publishing House «Soviet Georgia».

Plutarqe. (1975). Ciceroni. gv. 583-634. Rdsheuli biografiebi, t. 1. *[Cicero. Selected Biographies, Vol. I].* ZvelberZnulidan targmna, shesavali tserili da ganmartebebi daurto A. Urushadzem *[Translated from the original Greek, with an introduction and appendices by A. Urushadze].* Tbilisi: Publishing House «Soviet Georgia».

Sanikidze, L. (1989). Keisariada *[Caesarea].* Tbilisi: Publishing House «TSU».

Surguladze, K. (2009). Ciceroni da Romi *[Cicero and Rome].* Tbilisi: Publishing House «Universal».

Tsereteli, A. (1961). Zveli Romi *[Ancient Rome. Part II].* Tbilisi: Publishing House «TSU».

Tsereteli, A. (1959). Markus Tulius Ciceroni *[Marcus Tullius Cicero].* Tbilisi: Publishing House «TSU».

Belkin, M. (2002). Ciceron i Mark Antonii: Istoki konflikta. C. 133-162 *[Cicero and Mark Antony: Origins of the Conflict. p. 133-162]. «Mnemon», pod. Red. E. Frolova [«Mnemon», edited by E. Florova]:* Publishing house «Saint Petersburg State University».

Borukhovich, V. (1983). Posle martovskikh id 44 g. do n. e. *[After the Ides of March 44 BC. pp. 123-154].* Antidshnii mir i Arkheologia. Vip. 5 *[The Ancient World and Archaeology. Issue 5]:* Publishing house «Saratov State University».

Gasparov, M. (1991). Svetonii i ego kniga *[Suetonius and his book. pp. 341-361].* Gai Cvetonii Trankvil. Jizn dvenadcati cezarei [*Gaius Suetonius Tranquillus. Lives of the Twelve Caesars].* Moscow: Publishing house «Nauka».

Kosichenko, E. (2018). Sobitnost kak kategoria kulturnogo teksta (na primere sobiitia «Ubiistvo Cezaria») [Eventfulness as a category of cultural text (using the example of the event «The Assassination of Caesar»)]. p. 374-385. Vestnik MGLU. Gumanitarnie nauki. Vip. 9(801) *[Bulletin of Moscow State Linguistic University. Humanities. Issue 9 (801)].* Moscow: «FGBOU VO MGLU».

Makarova, A. (2012). Ciceron kak geroi v socialnoi pamiati *[Cicero as a Hero in Social Memory. p. 38-68].* Krizisi perelomnikh epoch v istoridsheskoi pamiati. Pod red. L. Repina [*Crises of turning points in historical memory. Edited by L. Repina].* Moscow: Publishing house «IVI RAN».

Mashkin, N. (1949). *Principat Avgusta* [*The Principate of Augustus].* Moscow-Leningrad: Publishing house «the USSR Academy of Sciences».

Mussky, I. (2000). *100 velikikh diktatorov [100 Great Dictators].* Moscow: Publishing house «Veche».

Servier, J. (1998). *Djoni dvenadcati cezarei [The Wives of the Twelve Caesars].* Moscow: «Kron-Press» Publishing House.

Utchenko, S. (1972). *Ciceron i ego vremia [Cicero and his time].* Moscow: Publishing house «Mysl».

Utchenko, S. (1976). *Iulii Cezar [Julius Caesar].* Moscow: Publishing house «Mysl».

Tsvetaeva, T. (1947). Narodnie volnenia v Rime posle ubiistvo Iulia Cezaria *[Popular unrest in Rome after the assassination of Julius Caesar]. VDI. №1. s. 226-233 [VDI. No. 1. pp. 226-233].* Москва–Ленинград: Publishing house «the USSR Academy of Sciences».

Billows, R. (2009). *Julius Caesar: The Colossus of Rome (Roman Imperial Biographies).* London-New York: Publisher «Routledge».

Cicero. (1967). *Letters to Atticus.* Ed by D.R. Shackleton Bailey, v. 6 (44 b.c.): Publisher «Cambridge univ. Press».

Cicero. (2015). *Pro Marcello [For Marcellus]. p. 422–453.* The Loeb Classical Library 252. Publisher: Harvard University Press, Cambridge, MA.

Cicero. (1997). *In M. Antonius oratio philippica secunda [On Marcus Antonius, the second Philippian oration]*. s. 32-94. Staatsreden, Dritte teil, Die Philippishen Reden, Lateinisch und deutsch von Helmut Kasten. Berlin: Verlag «Akademie».

Lacey, W. (1978). *Cicero and of the Roman Republic*. London: Published by Hodder and Stoughton.

Parenti, M. (2003). *The Assassination of Julius Caesar*. New York-London: «The New Press».

Suetonius. (1997). *Lives of the Caesars. v. 1.* Cambridge: Publisher «Harvard University Press».

Plutarch. (1918). *Brutus. Plutarch's Lives. v. VI*. Edit. B. Perrin, Cambridge, MA: London: Publisher W. Heinemann; Harvard University Press, Cambridge, Massachusetts.

Richardson, J. (2012). *Augustan Rome 44 BC to AD 14 (The Restoration of the Republic and the Establishment of the Empire):* Published «Edinburgh University Press».

Wiseman, T. (2016). *Julius Caesar.* Stroud: Publisher «The History Press».